

**„შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის მიმდინარეობის შესახებ**  
**2013 წლის დეკემბრის თვის ანგარიში**

„შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამი ქვეპროექტი: 1) A პაკეტი - მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობა; 2) B პაკეტი - ქვესადგურების მშენებლობა/რეაბილიტაცია და 3) C პაკეტი - მუდმივი დენის ჩანართის მშენებლობა (Back to Back Station).

### **A პაკეტი**

2010 წლის 05 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ენერგოტრანს“-სა და „KEC International Limited“-ს შორის „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების - მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზების მშენებლობის შესახებ.

კონტრაქტის ეფექტურობის თარიღია 12 აგვისტო 2010 წელი. დასრულების ვადა 2012 წლის ივლისი.

2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულდა 500 კვ ხაზის რეაბილიტაცია #1ანძიდან #39 ანძამდე (10 კმ), რომელიც გადაება 500 კვ ხაზს „მუხრანი“ და წარმოადგენს „ქართლი 1“-ის დამზღვევ ხაზს, რომელიც გამოდის გარდაბნის ქვესადგურიდან და მიდის ქსნის ქვესადგურამდე. მ/წლის იანვარში „ფიხტნერთან“ ერთად განხორციელდა დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

დამთავრდა სამუშაოები ხაზის მთელ სიგრძეზე, რომელიც დაკავშირებულია დასრულების ოქმის დანართში მოყვანილ შენიშვნებთან. ახალციხე-ახალქალაქის, წალკის, თეთრიწყაროს, მარნეულის რაიონების ტერიტორიებზე.

შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:

**2012 წლის მაისში დასრულდა ახალციხე ზესტაფონის 500 კვ გადამცემი ხაზი „ზეკარი“ის მშენებლობა. ხაზი ჩართულია**

#### ეგზ ზეკარი

დაიდგა – 77 ანძა (77-დან)

ჩაიდო – 812 ფუნდამენტი (812-დან)

დამონტაჟდა სადენი – 67 კმ (67-დან)

დამონტაჟდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი 67 კმ (67 კმ-დან)

შესრულებლის მაჩვენებლები

- ▶ დაგეგმილი – 100 %
- ▶ ფაქტიური – 100 %

**ახალციხე-გარდაბანის 500 კვ გადამცემი ხაზი „ვარძია“**

დასრულდა სამშენებლო სამუშაოები 2012 წლის ივლისში. ხაზი ჩართულია.

- დაიდგა – 388 ანძა (388–დან)
- ჩაიდო – 906 ფუნდამენტი (906–დან)
- დამონტაჟდა სადენი – 190 კმ (190–დან)
  - ▶ დაგეგმილი – 100 %
  - ▶ ფაქტიური – 100 %

#### **ახალციხე-თურქეთის საზღვარი 400 კვ გადამცემი ხაზი „მესხეთი“**

დამთავრდა სამშენებლო სამუშაოები 2012 წლის ივლისში. დამთავრდა სატესტო სამუშაოები თურქეთთან.

- დაიდგა – 100 ანძა (100–დან)
- ჩაიდო – 100 ფუნდამენტი (100–დან)
- დამონტაჟდა სადენი – 35 კმ (35–დან)
  - ▶ დაგეგმილი – 100 %
  - ▶ ფაქტიური – 100 %

**სულ ა პაკეტის შესრულების მაჩვენებელია:**

**დაგეგმილი – 100 %    ფაქტიური – 100%**  
(ინფორმაცია მოცემულია პირველი ფაზის ვადის გადაწევის გათვალისწინებით)

მ/წლის 5 სექტემბერს მოხდა ეგხ „ზეკარის“, ხოლო 12 სექტემბერს ეგხ „ვარძის“ გამოცდა. დღეისათვის ეგხ „ვარძია“ და ეგხ „ზეკარი“ ჩართულია. თურეთის მხარეს შესაბამისი სამუშაოები უკვე დასრულდა. ეგხ „მესხეთი“-ს ტესტირება დასრულდა თურქეთის მხრიდან ხაზის შესაბამისი დატესტვითაც.

ეგ ხაზებთან დაკავშირებული ყველა სამშენებლო სამუშაო დამთავრებულია. დამთავრდა ფერდობების გამაგრების და ეროზიის საწინააღმდეგო სამუშაოები.

### **B პაკეტი**

2010 წლის 22 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ენერგოტრანს“-სა და „SIEMENS AG Osterreich“-ს შორის „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების - 500/400/220 კვ.-ანი ქვესადგურების მშენებლობის შესახებ.

კონტრაქტის ეფექტურობის თარიღია 13 სექტემბერი 2010 წელი. დასრულების ვადა 2013 წლის დეკემბერი.

სამუშაოების პირველი ეტაპის (ქს ახალციხე 500 და 400 კვ და ქს ზესტაფონი 500 კვ) დასრულების თარიღი იყო 2012 წლის აპრილი, რომელიც ვადაში განხორციელდა, შემოწმდა, მიღება-ჩაბარების ოქმი გაფორმდა.

#### **ქს ახალციხე**

ფუნდამენტები 500 კვ მხარეს – სულ 404

მოწყობილია – 404

ლითონკონსტრუქციები – სულ 535 ტონა

აწყობილია – 535 ტონა

ფუნდამენტები 400 კვ მხარეს – სულ 382

მოწყობილია – 382

ლითონკონსტრუქციები – სულ 252 ტონა

მოწყობილია – 252 ტონა

ფუნდამენტები 220 კვ მხარეს – 207

მოწყობილია – 207

ლითონკონსტრუქციები – სულ 223 ტონა

აწყობილია – 223 ტონა

მეორე ეტაპის დასრულების თარიღად დაფიქსირდა 2012 წლის 5 ნოემბერი. 500 და 400 კვ ნაწილისათვის. გაფორმდა მიღება-ჩაბარების ოქმი.

დამთავრდა 220 კვ ნაწილის ინსპექტირება და მიღება-ჩაბარება 2013 წლის აგვისტოს.

ახალციხის ქვესადგურის 500 კვ და 400 კვ მხარე სრული დატვირთვისთვის მზადაა და ჩართულია.

#### **ქს ზესტაფონი**

ფუნდამენტები 500 კვ მხარეს – სულ 182

მოწყობილია – 182

ლითონკონსტრუქციები – სულ 261,8 ტონა

აწყობილია – 261,8 ტონა

მეორე ეტაპის დასრულების თარიღად დაფიქსირდა 2012 წლის 30 ნოემბერი. გაფორმდა მიღება-ჩაბარების ოქმი.

**სულ ბ პაკეტის შესრულებლის მაჩვენებელია:**

**დაგეგმილი – 100%      ფაქტიური – 100%**

2012 წლის 5 ნოემბერს ხელი მოეწერა მეორე ეტაპის დასრულების სერტიფიკატს ზესტაფონის ქვესადგურის 500 კვ მხარე, ახალციხის ქვესადგური 400 კვ და 500 კვ მხარე კი ჩაბარდა 30 ნოემბერს.

დასრულდა ახალციხის ქს-ის 400 კვ-იანი ნაწილის ტესტირება, რომელიც მიმდინარეობდა 2013 წლის ოქტომბერ- ნოემბერში.

### C პაკეტი

2010 წლის 23 აგვისტოს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ენერგოტრანს“-სა და „SIEMENS AG Germany“-ს შორის „შავი ზღვის ელექტროგადამცემი ქსელის“ პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების - 500/400 კვ.-ანი მუდმივი დენის ჩანართის მშენებლობის შესახებ.

კონტრაქტის ეფექტურობის თარიღია 1 სექტემბერი 2010 წელი. დასრულების ვადა 2013 წლის მაისი.

მისასვლელი გზა მოეწყო (2,8 კმ) დამთავრდა B2B-ის, მართვის ფარის და საკომპრესოროს შენობის მშენებლობა. მიმდინარეობს მისი გაწყობა. დასრულდა ძალოვანი და მეორადი მოწყობილობების მოწოდება და მონტაჟი. დამონტაჟდა 8 ტრანსფორმატორი და 3 სინქრონული კომპენსატორი. დასრულდა პირველი ეტაპის სამუშაოები და მათი გამოცდა, განხორციელდა მიღება-ჩაბარების ოქმის გაფორმება. დასრულდა მეორე ეტაპის სამუშაოებიც. 2012 წლის 20 დეკემბერს ხელი მოეწერა მეორე ეტაპის მიღება ჩაბარების ოქმს.

სულ C პაკეტის შესრულების მაჩვენებელია:

- ▶ დაგეგმილი – 100 %
- ▶ ფაქტიური – 100%

დამთავრდა მუდმივი დენის ჩანართების ტესტირება.

ამავე დროს შპს ენერგოტრანსი ატარებს ტენდერებს ჯვარი – ხორგას დამაკავშირებელი პროექტისათვის, რომელსაც დააფინანსებს ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი EBRD და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკი KFW:

პროექტის ძირითადი კომპონენტებია:

1. პაკეტი ა– 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობას ჯვარში;
2. პაკეტი ბ– 220 კვ ეგხ–ს მშენებლობას ქს ჯვარი– ქს ხორგა (~60 კმ) და არსებული 500 კვ ეგხ კავკასიონის შეჭრას ქს ჯვარში (~8 კმ)

განხორციელდა, ზემოხსენებულ კომპონენტებზე დაინტერესებული კომპანიების პრეკვალიფიკაცია. პაკეტი ა–ს ტენდერში მონაწილეობისათვის პრეკვალიფიკაცია გაიარა 5–მა კომპანიამ, ხოლო პაკეტი ბ–ს ტენდერში მონაწილეობისათვის პრეკვალიფიკაცია გაიარა 9 კომპანიამ.

სატენდერო პროცესი ორივე კომპონენტისათვის დაიწყო შესაბამისად 9 და 19 სექტემბერს ა.წ. სექტემბერში. გამარჯვებულ ფირმებთან კონტრაქტების გაფორმება იგეგმება 2014 წლის თებერვალში. შესაბამისად კონტრაქტების ეფექტურობის თარიღი იქნება 2014 წლის აპრილი/მაისი.

სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2016 წლის სექტემბრისთვის.

დასრულდა საკონსულტაციო ფირმის შერჩევის პროცესი-ტექნიკური შეფასება. ფინანსური წინადადების გახსნა დაგეგმილია 2014 წლის 9 იანვარს. კონტრაქტის სავარაუდო გაფორმების თარიღია 2014 წლის თებერვალი.